3237/3-125/22 2 08042022

3237/3-125/22
08-04-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს

მოგესალმებით

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავჯდომარის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სოციალური დაცვის სამინისტროში გამოიგზავნა რეკომენდაცია (10722/4-13/21) - რა ეტაპზეა პრეპარატი ,,ნალოქსინი''-ს რეცეპტის გარეშე გაცემის საკითხი?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030124399168022

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9225 **13 / აპრილი / 2022 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ იაგო ხვიჩიას

ბატონო იაგო,

თქვენი წერილის (08/04/2022, N3237/3-125/22) პასუხად, რომელიც შეეხება პრეპარატი „ნალოქსონის“ ურეცეპტოდ გაცემის საკითხს, გაცნობებთ, რომ „ტექნიკური რეგლამენტის - ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის № 166 დადგენილებაში 2022 წლის 22 მარტს განხორციელებული ცვლილების (საქართველოს მთავრობის დადგენილება N141) თანახმად, ნალოქსონის მონოპრეპარატები განთავსდა გადაუდებელი დახმარების ჩანთაში“ (დანართი1.1.). შესაბამისად, გადაუდებელ შემთხვევებში, პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, ნალოქსონის მონოპრეპარატების გაცემა მოხდება ურეცეპტოდ.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ადამია